

18/12/2024



MES 0 24 0001614340

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 04.12.2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:25 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- 3. დავით ტეფნაძე** - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
- 4. გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი; სხდომას შემოუერთდა მეორე საკითხიდან.
- 5. დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;

6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ:

ელისო ელისაშვილი - რექტორი;

მარიამ დარბაიძე - ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით;

ზურაბ მუშკუდიანი, ნათია ჟოჟუაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელები.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნიკოლოზ ყაველაშვილი - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

თორნიკე გურული - "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია ბიწაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მარიამ კიკნაველიძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

ნინო გაგელიძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში;

ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

დავით ცირამუა - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ნათია პავლიაშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

მარინე ბოჭორიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;

მეთინ მერქან - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

დარა აჰმედი - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თანა-ხელმძღვანელი;

ნინო ტალიკაძე - ბიზნესის სკოლის ადმინისტრაციული დირექტორი.

აკრედიტაციის ექსპერტები

მერაბ ხოხობაია - I საკითხი;

ნათია დაღელიშვილი - I საკითხი;

სანდრო ტაბატაძე - I საკითხი;

თამარ ხუციშვილი - I საკითხი;

ნატო ასათიანი - II საკითხი;

ირმა ქურდაძე - II, III საკითხი;

ცოტნე ღულუნიშვილი - II საკითხი;

დევი შონია - III საკითხი;

ქეთევან ქავთარაძე - III საკითხი;

ევა ხუხაშვილი - III საკითხი;

ეკა ლეკაშვილი - IV საკითხი;

თეა კასრაძე - IV საკითხი;

ია ნაცვლიშვილი - IV საკითხი;

ნათია გეგელაშვილი - IV საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ - ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს შუამდგომლობა "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (240 კრედიტიანი) სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლებისენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროსკოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
6. კრედიტი - 180 ECTS

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლებისენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროსკოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
6. კრედიტი - 180 ECTS

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლებისენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5. დეტალური სფეროსკოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
6. კრედიტი - 120 ECTS

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლებისენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5. დეტალური სფეროსკოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
6. კრედიტი - 120 ECTS

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილი

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ლინა ჟენკიენე (Lina Zenkienė) მიესალმა საბჭოსა და დაწესებულების წევრებს. მისი თქმით ექსპერტებს ჰქონდათ კარგი შანსი სრულად გამოეკვლიათ პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები, რადგან პროგრამაზე სტუდენტთა მიღება მიმდინარეობდა 2018 წლიდან, რამაც მისცა ექსპერტებს შანსი, რომ გასაუბრებია ჰქონოდათ, როგორც კურსდამთავრებულებთან, ისე მოქმედ სტუდენტებთან.

რაც შეეხებოდა სტანდარტებთან შესაბამისობას, მისი თქმით პროგრამა ძირითადად შესაბამისობაში იყო პირველ და მეორე სტანდარტთან და შეუსაბამობაში იყო მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან. შესაბამისად მათი რეკომენდაციების მიზანი იყო, რომ დახვეწილიყო და განვითარებულიყო ახალი პროგრამები მოცემულ სტანდარტებთან მიმართებით.

რეკომენდაცია შეეხებოდა ქვესტანდარტს 1.2 და 1.3. კერძოდ, უნივერსიტეტის კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებს. საბაკალავრო პროგრამაზე რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ ყოფილიყო შესაბამისობა მთავარ კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის, იმ კომპეტენციებზე როგორც არის გაცნობა, გადრმავება და დაუფლება.

ასევე რეკომენდაცია მოიცავდა, რომ ბაკალავრის ორივე პროგრამაზე უზრუნველყოფილიყო მულტიკომპეტენციებისა და კვლევითი მეთოდების განვითარება რაც ასახული იყო პროგრამის მიზნებში.

1.3 სტანდარტთან მიმართებით ექსპერტების რეკომენდაციის მიზანი იყო, რომ პროგრამის შეფასების სისტემა განვითარებულიყო რათა პროგრამას მოიცვა უფრო ბევრი კურსი, როგორც არის მაგალითად პროექტის ადმინისტრირება.

შემდგომი რეკომენდაცია ეხებოდა კურსდამთავრებულთა უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში რათა, განვითარებულიყო და გაუმჯობესებულიყო პროგრამა.

1.4 სტანდარტის ფარგლებში რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ უფრო მულტიკულტურული კომპეტენცია განუვითარდეთ სტუდენტებს ბაკალავრის ინგლისურენოვან პროგრამაზე და რეკომენდაციის მიხედვით უნდა დაფუძნებულიყო ისეთი კურსი, როგორიც არის ქროსკულტურული მენეჯმენტი.

ექსპერტის თქმით აუცილებლად უნდა გადახედილიყო სამაგისტრო პროგრამა და უნდა შემუშავებულიყო განსხვავებული მიღების წინაპირობები. განსაკუთრებით მეორე და მესამე სემესტრის კურსებში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრესი კომპეტენციების განვითარებასთან დაკავშირებით, რაც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საერთაშორისო პრაქტიკასთან.

ასევე რეკომენდაცია გაიცა 1.5 სტანდარტის შესახებ. ექსპერტის თქმით უნდა გათანამედროვეებულიყო ისეთი კურსები, როგორიცაა ინფორმაციული სისტემის მენეჯმენტი ბიზნესში და გამოყენებით უნარებზე უნდა ყოფილიყო გამახვილებული ყურადღება, რათა კურსი მორგებული ყოფილიყო არსებულ ბიზნესის სექტორის საჭიროებებს.

რეკომენდაცია გაიცა ასევე კურსის დასახელების შეცვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, ციფრული მეწარმეობა და ინოვაციური მენეჯმენტი უნდა ჩანაცვლებულიყო ციფრული მეწარმეობით.

3.1 სტანდარტის ფარგლებში ექსპერტების რეკომენდაციის მიხედვით კარგი იქნებოდა თუ სტუდენტური პორტალის ინგლისურ ვერსიასაც შექმნიდნენ.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ადამიანურ რესურსებს. რეკომენდაციის მიხედვით აუცილებელი იყო, რომ დადასტურებული ყოფილიყო პერსონალის შერჩევისას ინგლისური ენის კომპეტენცია.

ასევე რეკომენდაციის მიხედვით მაგისტრატურის სტუდენტებს უნდა მიეწოდოთ სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა მათი ნაშრომის შეფასება.

4.4 სტანდარტის მიხედვით გაიცა რეკომენდაცია, რომ ყველა კურსის სახელმძღვანელო ხელმისაწვდომი ყოფილიყო ბიბლიოთეკაში ყველა სტუდენტისთვის.

მე-5 სტანდარტის მიხედვით ექსპერტების რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ სრულ შესაბამისობაში ყოფილიყვნენ მოწვეული და აკადემიური პერსონალი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკასთან. რაც ხელს შეუწყობდა უხარვეზოდ განხორციელებულიყო ციკლი დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და იმოქმედე.

5.2 სტანდარტთან იმართებით რეკომენდირებული იყო, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ყველა წევრს ჰქონოდა წარმოდგენა თუ რა იყო დაწესებულების სუსტი წერტილი, გაეკეთებინათ გეგმა და ემოქმედათ მათ გაუმჯობესებაზე.

მე-5 სტანდარტთან მიმართებით კიდევ რამდენიმე რეკომენდაცია გაიცა. რადგან დაწესებულებას სურდა, რომ შეემუშავებინა კიდევ რამდენიმე ინგლისურენოვანი პროგრამა რეკომენდაციის მიხედვით სასურველი იყო, რომ ყველა შეფასების ინსტრუმენტი მათ შორის კითხვარები ინგლისურ ენაზე ყოფილიყო მიწოდებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მარიამ დარბაიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს, მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოსთვის.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკვე არსებობდა დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო სწავლის შედეგებისა და შეფასების რუკების ჩამოყალიბება. ასევე მისი თქმით უნივერსიტეტი

სამუშაო შეხვედრების ფორმატში ახორციელებდა პროგრამის განმახორციელებლებთან და ხელმძღვანელებთან ერთად შედეგების ჩამოყალიბებას და მათ გაწერას კონკრეტული მიმართულებით.

რეკომენდაციაში წარმოდგენილი იყო ორი სასწავლო კურსი ბიზნესის საფუძვლები და პროექტების მართვა. წარმომადგენლის თქმით ბიზნესის საფუძვლების რუკაში წარმოდგენილი იყო გაცნობა, რადგან საფუძვლების ნაწილი იყო, ხოლო პროექტების მართვის ნაწილში წარმოდგენილი იყო გაღრმავება, თუმცა განმტკიცების ნაწილში ვინაიდან პროგრამა მოიცავდა საბაკალავრო ნაშრომს და პრაქტიკის კომპონენტს მათ გაწერეს განმტკიცების ნაწილში. შესაბამისად, ყველაფერი ბმაში იყო სასწავლო კურსებისა და სილაბუსებში გაწერილ შედეგებთან.

შემდგომ რეკომენდაციებში 1.2 და 1.3 სტანდარტებთან მიმართებით რეკომენდებული იყო სამუშაო ჯგუფების უფრო მეტი ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. რასთან დაკავშირებითაც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა არაერთხელ გაიარა აკრედიტაცია და სამუშაო ჯგუფების ჩართულობა იყო ჩვეულებრივი პრაქტიკა. ასევე ტრენინგ ცენტრის მიერ დამატებით ხორციელდებოდა სწავლის შედეგების ვალიდურობასთან დაკავშირებით ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და მოცემულ პროცესში ჩართული იყო არამხოლოდ აკადემიური პერსონალი არამედ სტუდენტები კურდამთავრებულები და მოწვეული პროფესორები. მოცემულს ადასტურებდა არაერთი სამუშაო შეხვედრის ოქმი.

რაც შეეხება რეკომენდაციას პროგრამის განმახორციელებლების ენის კომპეტენციის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებელია პირმა წარადგინოს ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი საბუთი და ასევე თუ ინგლისურად ხორციელდება პროგრამა კომისიაში აუცილებლად ჰყავდათ ისეთი დარგის ექსპერტი, რომელსაც აქვს ინგლისურ ენაზე ლექციის ჩატარების გამოცდილება. ასევე პერსონალმა უნდა წარმოადგინოს ლექცია ინგლისურ ენაზე. წარმომადგენლის თქმით მოცემულს ადასტურებს უამრავი ოქმი და თუნდაც ზუმის ჩანაწერი. ასევე მისი თქმით იმ შემთხვევაში თუ პერსონალი პირველად შედიოდა ლექციაზე ხდებოდა მასზე კოლეგიალური შეფასება.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ნაშრომების შეფასების პროცესის გაცნობის შესახებ რეკომენდაციას, წარმომადგენელმა განაცხადა რომ, უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე სტუდენტს შესაძლებლობა ექმნება შეხვდეს როგორც პროგრამის განმახორციელებლებს, ისე ხარისხის სამსახურს და დეკანატს. მოცემულ შეხვედრებზე კი ხდებოდა დეტალურად იმ პროცესების გაცნობა, რომლის გავლაც მოუწევდა სტუდენტს. მისი თქმით მოცემული ფოტო-ვიდეო მასალა დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა.

რაც შეეხება მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, წარმომადგენლის თქმით უნივერსიტეტის მიერ გადაიხედა ყველა სილაბუსი და მათში მოცემული ლიტერატურა და ყველა მატერიალური რესურსი წარმოდგენილი ჰქონდათ ბიბლიოთეკაში. ასევე მისი თქმით დაწესებულებამ ექსპერტებსაც წარუდგინა ყველა მოთხოვნილი ლიტერატურა.

წარმომადგენელი ასევე შეეხო რეკომენდაციებს 5.1.1, 5.1.2 და 5.1.3 სტანდარტებთან მიმართებით. მისი თქმით დაწესებულებას გააჩნია ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი სადაც დეტალურად არის გაწერილი თუ ინსტიტუციამ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს რაც დაფუძნებულია საერთაშორისო პრაქტიკაზე. რაც შეეხება PDSA-ს ციკლის მანძილზე დაწესებულების მიერ ხდება ციკლის შეკვრა. ხარისხის ანალიზებისა და რეკომენდაციების დადების, შემდგომ ხდება გეგმის შეფასება და შემდგომ იდება ანგარიშები, თუ როგორ მიმდინარეობდა პროცესი, სახეზეა რეგრესია, თუ პროგრესი. წარმომადგენლის თქმით მოცემულ პროცესში ჩართული იყო ყველა სამიზნე ჯგუფი, როგორც სტუდენტი ისე კურსდამთავრებული.

წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებაზე შედეგების ჩამოყალიბებისას. მისი თქმით წარმოდგენილი იყო დოკუმენტი ხარისხის შედეგების ჩამოყალიბების შესახებ და მისი ერთ-ერთი დანართი იყო პირდაპირი და არაპირდაპირი

შეფასება სწავლის შედეგების ჩამოყალიბების შემდეგ. მისი თქმით მოცემულ დანართში გაწერილი იყო თუ რა სახისა იყო პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება და როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი.

რაც შეეხება ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავების პროცესში ხარისხის კითხვარების ნაწილს. წარმომადგენლის თქმით დაწესებულებას პოლიტიკის დოკუმენტი, როგორც ქართულად ისე ინგლისურ ენაზე ჰქონდათ წარმოდგენილი, რომლის დანართშიც გაწერილი იყო ყველა კითხვარი, პერიოდულობა და სამიზნე ჯგუფი. ასევე წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა სტუდენტურ პორტალზე. მისი თქმით პორტალზე მუშაობა მიმდინარეობდა და მალე ამუშავდებოდა.

ზურაბ მუშკუდიანმა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელმა განიხილა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია სტანდარტ 1.2.2, რომელიც ეხებოდა მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარებას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე. მისი თქმით კურსის შექმნისას გათვალისწინებული იყო ყველა საერთაშორისო პრაქტიკა ძირითადი სასწავლო სფეროს სასწავლო კურსების შერჩევის დროს. ასევე მისი თქმით მულტიკულტურული კომპეტენციის განვითარებას ხელს უწყობდა ისეთი კურსები, როგორიცაა ბიზნეს ეთიკა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, ბიზნესის საფუძვლები, უცხო ენა, ინგლისური ენა, ორგანიზაციული ქცევა, საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები.

მეორე რეკომენდაციას რაც შეეხება 1.2.3 ის ითვალისწინებდა ინგლისურ და ქართულენოვან პროგრამებზე თვისობრივი კვლევის მეთოდების უნარების განვითარებასა და შეძენას. წარმომადგენლის განმარტებით სასწავლო კურიკულუმში გათვალისწინებული იყო ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ბიზნეს სტატისტიკა, პროგრამა SPSS-ის გამოყენება, მარკეტინგი, ბიზნესის მონაცემთა ანალიზი, სტრატეგიული მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევა, მეწარმეობა და საბაკალავრო ნაშრომი.

რეკომენდაცია 1.4.1-ში რეკომენდებული იყო მულტიკულტურული კომპეტენციის განვითარებისთვის კულტურათაშორისი მართვის და გუნდურობის ხელშეწყობა. წარმომადგენლის თქმით მოცემულ საკითხთან დაკავშირებული კურსები დაწესებულებას ჰქონდა გადანაწილებული არჩევითი კურსების ბლოკში. ასევე მისი თქმით ექსპერტთა ინიციატივით ერთ-ერთი კურსი გადაიტანა დაწესებულებამ ძირითად სასწავლო კურსებში.

1.5.1 რეკომენდაცია ეხებოდა საინფორმაციო სისტემების მართვაზე ბიზნესში, პრაქტიკული და გამოყენებითი უნარების ჩანერგვა. წარმომადგენლის თქმით გაცემული რეკომენდაცია გაითვალისწინეს, გააცნეს კურსის ლექტორს და შეიტანეს შესაბამისი ცვლილება სილაბუსში. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ციფრული მეწარმეობისა და მართვის ნაცვლად კურსის სახელწოდება შეცვლილიყო ციფრული მეწარმეობის სახით. წარმომადგენლის თქმით მოცემული რეკომენდაციაც გაითვალისწინა დაწესებულებამ.

რეკომენდაცია 1.3.1 ეხებოდა შეფასების სისტემის სრულყოფას, წარმომადგენლის თქმით მოცემული რეკომენდაციაც გაითვალისწინა დაწესებულებამ.

1.4.2 რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო საფეხურზე მეორე და მესამე სემესტრში კურსების კომპეტენციაზე წინაპირობების განსაზღვრას. წარმომადგენლის თქმით სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებდა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში. ასევე განაცხადა, რომ კანონმდებლობის მიხედვით ყველა კანდიდატი რომელსაც აქვს ჰუმანიტარის ბაკალავრი აქვს უფლება, რომ გაიაროს ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა. შესაბამისად, დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმებოდა რეკომენდაციას და ფიქრობენ, რომ ყველას უნდა მიეცეს საშუალება ისწავლოს არსებულ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები

საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე, მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და აკრედიტაციის ექსპერტებს. კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით 1.2.2 რეკომენდაციის შინაარსი მეორდებოდა 1.4.1 რეკომენდაციაში. პირველ რეკომენდაციაში ეხებოდა, როგორც

ქართულენოვან ისე ინგლისურ ენოვან პროგრამას და მეორე რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ ქართულენოვან პროგრამას. შესაბამისად საბჭოს წევრის კითხვა ეხებოდა ამ რეკომენდაციებს, თუ რა განსხვავება იყო მათ შორის.

ექსპერტის თქმით მოცემული ორი რეკომენდაცია ერთმანეთის შემაჯავებელია. უნივერსიტეტს შეუძლია სხვადასხვა კურსებში გაანაწილოს მულტულტურული კომპეტენციის ელემენტი, როგორც ახლაა ან ძირითად კურსებს შორის ერთი კურსი მულტიკულტურული კომპეტენციების შესახებ შესთავაზონ სტუდენტებს, რომელიც უფრო მოკლე გზაა მოცემული რეკომენდაციის დასაკმაყოფილებლად.

შემდეგი კითხვა ეხებოდა 4.4.1 რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ბიბლიოთეკაში ყველა ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. საბჭოს წევრის კითხვა კი მდგომარეობადა შემდეგში, შესაძლებელი იყო თუ არა ყველა ლიტერატურის მოძიება ბიბლიოთეკაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტუდენტებთან გასაუბრებისას მათ ჰკითხეს სტუდენტებს თუ რამდენად შესაძლებელი იყო ლიტერატურის მოძიება სტუდენტურ პორტალზე, ასევე ერთ-ერთი სტუდენტის პორტალის გამოყენებით შეამოწმეს თუ რამდენად იყო ყველა სასწავლო ლიტერატურა ატვირთული. თუმცა ყველა ლიტერატურის მოძიება ვერ მოხერხდა პორტალზე რის შემდეგაც სტუდენტებს კითხეს თუ იყო შესაძლებელი მოცემული წიგნების მოძიება ბიბლიოთეკაში. ექსპერტის თქმით აუცილებელი იყო, რომ სტუდენტი ინფორმირებული ყოფილიყო იმის შესახებ შესაძლებელი იყო თუ არა კონკრეტული ლიტერატურის მოძიება ბიბლიოთეკაში.

ექსპერტმა, ნათია დადელიშვილმა განაცხადა, რომ ძირითადი ლიტერატურის მოძიებისას ექსპერტებმა ბიბლიოთეკაში ვერ მოიძიეს სრულად ყველა ლიტერატურა და მიიღეს ინფორმაცია, რომ სტუდენტებს პორტალზე ეტვირთებოდათ სასწავლო მასალები, თუმცა პორტალზეც ვერ მოახერხეს სრული სასწავლო მასალის ნახვა.

5.3.1 და 5.3.2 რეკომენდაციებთან დაკავშირებით ჰქონდა გიორგი ღაღანიძეს კითხვა. კერძოდ, კონკრეტულად სამომავლო პროგრამებს ეხებოდა თუ არა მოცემული რეკომენდაციები.

ექსპერტმა სანდრო ტაბატაძე განმარტა, რომ შესაძლოა რაიმე სახის ცდომილება იყო დასკვნის ქართულ ვერსიაში. თუმცა დასკვნის მიხედვით მოცემული რეკომენდაციები ეხებოდა უკვე არსებულ ორ ინგლისურენოვან პროგრამას.

შემდგომ საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. კერძოდ, თუ ვისზე იყო ორიენტირებული და ვინ იყო მოცემული ინგლისურენოვანი პროგრამების სამიზნე ჯგუფი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ყველა რიდერი და ექსპერტებმა ლიტერატურის მოძიებისას მხოლოდ ერთი რიდერი ვერ ნახეს. რაც შეეხება მეორე კითხვას მასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ როგორც ქართველ ისე უცხოელ სტუდენტს შეუძლია მოცემულ ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის დაწყება. შესაბამისად, კონკრეტულად რაიმე სამიზნე ჯგუფი არ ჰყავდა დაწესებულებას.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ მიმართა კითხვით, როგორც ინსტიტუციას ისე ექსპერტებს, თუ რამდენადაც იყო შესაძლებელი სილაბუსში მოცემული გაწერილი პროგრამით ესწავლათ სტუდენტებს ფინანსების საფუძვლების შესწავლა. ასევე მისი განმარტებით ქართულენოვან პროგრამაზე მოცემული ძირითადი ლიტერატურა მისი აზრით სრულად ვერ პასუხობდა მოთხოვნებს და იგივე ავტორის ინგლისურენოვან პროგრამაზე არსებული ლიტერატურა სრულად პასუხობდა მოცემული კურსის მოთხოვნებს.

ინსტიტუციის განმარტებით ინგლისურენოვანი სილაბუსი იყო ახალი და მისაღები, ხოლო ქართულენოვან პროგრამას ინსტიტუცია უკვე ახორციელებდა 4 წელია და შესაძლებელია, რომ ძველი პროგრამის სილაბუსი მოხვდა ახალის პაკეტში.

საბჭოს წევრმა ასევე განიხილა კურსი „კორპორაციის ფინანსები“ და განაცხადა, რომ მოცემული კურსის სილაბუსშიც მსგავსი მდგომარეობა იყო. მისი განმარტებით ქართულენოვან პროგრამაზე სასწავლო ლიტერატურა იყო მხოლოდ 76 გვერდიანი წიგნი და მისი აზრით, როდესაც კურსს აქვს დიდი კრედიტი მინიჭებული ასეთი მწირი ლიტერატურით არ უნდა

ისწავლებოდეს მასალა. რაც შეეხება ინგლისურენოვან პროგრამას საბჭოს წევრის თქმით მისი სილაბუსი იყო მისაღები.

საბჭოს წევრმა იგივე განაცხადა კურსის შესახებ „რისკები და დაზღვევა“. მისი თქმით მოცემულ კურსზე მხოლოდ ისწავლებოდა დაზღვევა და არა რისკები. შესაბამისად, გადასამუშავებელი იყო სილაბუსი. ასევე გადასახედი იყო კურსი „ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტების“ სილაბუსი.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, საბჭოს წევრის თქმით ფინანსური მენეჯმენტის პროგრამაზე საგნის სილაბუსი და ლიტერატურა არ შეესაბამებოდა პროგრამის დონეს, მსგავსი შენიშვნა ჰქონდა „კვლევის თანამედროვე მეთოდები ბიზნესში“ საგანზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ მუშკუდიანმა განაცხადა, რომ ქართულ პროგრამებზე დაწესებულებამ მოიძია ყველა არსებული ლიტერატურა. რაც შეეხება სილაბუსებს ის შედგენილი იყო პროგრამის ხელმძღვანელის რჩევებითა და ლექტორების მიერ თავიანთი გამოცდილებისა და შეხედულებისამებრ. თუმცა დაწესებულებამ მიიღო რჩევა და განაცხადა, რომ აუცილებლად მოიყვანდნენ სილაბუსებს შესაბამისობაში.

საბჭოს წევრი თამარ ტუფინაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კონკრეტულად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. მისი თქმით საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი იყო, რომ პირს ჩაებარებინა ეროვნული გამოცდები. კერძოდ, ინგლისური ენა, რის შემდეგაც დაწესებულებაში სავალდებულო საგნებად იყო B1 და B2 დონის ინგლისური ენის საგნები. თუმცა ამის დასრულების შემდგომ იყო არჩევითი კომპონენტი A1 ინგლისური ენა დამწყებთათვის. აქედან გამომდინარე საბჭოს წევრს აინტერესებდა თუ ვისთვის იყო არჩევითი კომპონენტი გათვლილი.

რაც შეეხება ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას მისი თქმით სტუდენტმა, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა მიიღოს მინიმუმ 60 ქულა ინგლისური ენის გამოცდაზე, რაც არის B1 დონე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტს მოეთხოვება B2 დონის ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება. შესაბამისად საბჭოს წევრს აინტერესებდა, ხომ არ იყო ეს მოთხოვნები განსხვავებული და რამდენად საკმარისი იყო B1 ინგლისური ენის დონე ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე.

მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ სტუდენტი ჩაბარებისთანავე აბარებენ დაწესებულების შიდა ინგლისური ენის გამოცდას, რომლის მიხედვითაც ნაწილდებიან სტუდენტები ჯგუფებში. რაც შეეხება A1 ინგლისური ენის საგანს ის განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ჩააბარეს არა ინგლისური არამედ სხვა ენა ეროვნულ გამოცდებზე და ვერ ადასტურებენ ინგლისური ენის კომპეტენციას.

რაც შეეხება ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას მისი თქმით დაწესებულებას ჰქონდა ბევრი კონსულტაცია როგორც ხარისხის ცენტრში ისე ემისში და ამ კონსულტაციებიდან იყო რეკომენდაცია რომ საქართველოს მოქალაქეებს უფლება ჰქონოდათ ჩარიცხულიყვნენ პროგრამაზე 60 ქულის მიღების შემთხვევაში და შემდგომ უკვე გასაუბრებისას დაედასტურებინათ ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობის კომპეტენცია.

დაზუსტების მიზნით წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე იღებენ არა მხოლოდ იმ პირებს ვინც ინგლისური ენა ჩააბარა ეროვნულ გამოცდაზე არამედ იმათ ვინც სხვა ენები ჩააბარეს, და მათ აძლევენ საშუალებას რომ შეისწავლონ ინგლისური ენა შესაბამის დონეზე.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დამაზუსტებელი კითხვით თუ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ჩაირიცხა გერმანული ენით და პირველ კურსზე სავალდებულო საგანია B1 დონის ინგლისური.

მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ ენობრივი კომპეტენციის წესი არეგულირებს მოცემულ საკითხს და ამ დოკუმენტშია დეტალურად გაწერილი თუ რა პროცესები ხორციელდება ამ დროს.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მისი თქმით მულტიკულტურულობასთან დაკავშირებული საკითხი ფიგურირებდა არამარტო რეკომენდაციებში არამედ რჩევებშიც. შესაბამისად აინტერესებდა თუ რამდენად გამართლებული იყო ამ საკითხის რჩევებსა და რეკომენდაციებში გაწერა.

შემდეგი კითხვა ეხებოდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში გაწერილი კურსების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით. კერძოდ, ფინანსური აღრიცხვასა და კორპორაციული ფინანსები ერთად ისწავლება მესამე სემესტრში, ასევე მეოთხე სემესტრში ხდება აუდიტისა და მენეჯერული აღრიცხვის სწავლება. საბჭოს წევრის განმარტებით კურსები მათი შინაარსით კარგად არის შერჩეული თუმცა აუცილებელია მათი ქრონოლოგიურად დალაგება. მოცემული პრობლემა ორივე პროგრამაშია, როგორც ქართულში ისე ინგლისურში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნახსენებ რეკომენდაციაში იკითხებოდა, რომ უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ინგლისურენოვან პროგრამებზე მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარება და მისი თქმით დაწესებულებამ გაითვალისწინა მოცემული რეკომენდაცია სავალდებულო საგნების ნუსხაში გადაიტანეს ქროსკულტურული მენეჯმენტისა და გუნდური მუშაობა-ინტერპერსონალური უნარების კურსები.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისა და დალაგების პროცესში მონაწილეობას იღებდა პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო კურსების ხელმძღვანელები შესაბამისად მოცემული ქრონოლოგია იქნა მათთან ერთად შემუშავებული შინაარსის გათვალისწინებით. თუმცა, მისი განცხადებით თუ იქნება აუცილებელი, რომ გადალაგდეს კურსების ქრონოლოგია დაწესებულება მზაობას აცხადებს რომ განმავითარებელ ჯგუფთან ერთად აუცილებლად იმუშავენ მოცემულ საკითხზე.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მისი კითხვა ეხებოდათ ექსპერტებს თუ რამდენად აუცილებელი იყო მულტიკულტურულობის საკითხის, როგორც რეკომენდაციებში ისე რჩევებში გაწერა. რაც შეეხება მეორე კითხვას მისი აზრით აუცილებელი იყო კურსების ქრონოლოგიის შეცვლა.

შემდგომი საკითხი ეხებოდა პროგრამის მეხუთე სემესტრს სადაც გაწერილი იყო ისეთი კურსების სწავლება, რომელთა სწავლის შედეგებზე გასვლა რთული შეიძლება ყოფილიყო. კერძოდ, ეს კურსებია პროექტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი და ოპერაციული მენეჯმენტი.

ასევე საბჭოს წევრის თქმით დაწესებულება ეთიკას და სოციალურ პასუხისმგებლობას ასწავლის ბიზნესის სამართალზე ადრე. შესაბამისად მისი განმარტებით მიზანშეწონილი იქნებოდა ამ კურსების მიმდევრობის ცვლილება.

დაწესებულებას წარმომადგენლის, ზურაბ მუშკუდიანის განმარტებით პროგრამის შემუშავებისას დაწესებულებამ გაითვალისწინა, როგორც პირადი ისე საერთაშორისო გამოცდილება და სწორედ ამაზე დაყრდნობით შეიმუშავეს პროგრამის შინაარსი და კურსების ქრონოლოგია. თუმცა ამის გადახედვა აუცილებლად მოხდება მუშაობის პროცესში, ექნებათ უკუკავშირი და ხარვეზების აღმოფხვრას შეეცდებიან.

საბჭოს წევრის განცხადებით ეკონომიკის კურსი გადანაწილებულია ერთ სემესტრზე, სადაც არის მიკროდან და მაკროდან სელექციურად თემები ამოღებული შესაბამისად საბჭოს წევრს აინტერესებდა თუ რამდენად იყო მარტივიდან რთულისკენ კურსების დაგეგმვის სპეციფიკა დაცული და რატომ იყო მთელი ერთი სემესტრი ეკონომიკისთვის დათმობილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას მაკრო და მიკრო ეკონომიკა ცალ-ცალკე ჰქონდათ თუმცა კრედიტების სიმცირის გამო, რადგან მთელი პროგრამა 180 კრედიტიანია იძულებულები გახდნენ, რომ გაერთიანებინათ ეს ორი კურსი, თუმცა მისი განმარტებით მათ აიღეს ის ძირითადი თემები რაც სტუდენტებს გაიყვანდა შედეგზე.

შემდეგი კითხვა ისევ ეხებოდა კურსების სტრუქტურას, რომ დაწესებულება ჯერ ასწავლის ლიდერობას და შემდგომ სტრატეგიულ და ოპერაციულ მენეჯმენტს რაც მისი განმარტებით ამის ცვლილებაც მიზანშეწონილი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა შედგენილი იყო თავიანთი პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე თუმცა მზაობას აცხადებდნენ, რომ უარყოფითი უკუკავშირის შემთხვევაში აუცილებლად გადაიხედებოდა პროგრამის კურსების ქრონოლოგია.

შემდგომი საკითხი ეხებოდა სასწავლო ლიტერატურას. საბჭოს წევრის განმარტებით სილაბუსში მოცემული იყოს სტატისტიკით 2011 წლის ლიტერატურა და იმის გათვალისწინებით, რომ რთული არის ქართული ენაზე ლიტერატურის მოძებნა, მაინც გათვალისწინებინათ პროგრამის მიზნები და შეერჩიათ განსხვავებული ლიტერატურა, რადგან მაინც შეიძლება მოიძებნოს ქართულ ენაზე სხვადასხვა სასწავლო ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა საბჭოს რეკომენდაციას.

საბჭოს წევრი ქეთევან ქუთათელაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. საბჭოს წევრმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს მე-5 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. 5.1.1 რეკომენდაციაში იკითხებოდა, რომ ზოგიერთი მოწვეული და აკადემიური პერსონალი არ იცნობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შესაბამისად საბჭოს წევრს სურდა დაეზუსტებინა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდნენ ექსპერტები მოცემულ რეკომენდაციაში.

ხოლო 5.3.1 და 5.3.2 რეკომენდაციებთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ეს რეკომენდაციები იყო ნაწილობრივ ერთი და იგივე შინაარსის და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ გაერთიანებინათ ეს ორი რეკომენდაცია.

სანდრო ტაბატაძემ განმარტა, რომ ამ ორი რეკომენდაციის გაერთიანება შესაძლებელია და პირველად დასკვნაში ერთად იყო თუმცა ხარისხის ცენტრის რეკომენდაციის მიხედვით გაყვეს ეს რეკომენდაცია ორად, რადგან ისინი ეხებოდა ორ განსხვავებულ თემას. პირველი თემა ეხებოდა ინგლისურენოვანი კითხვარების შემუშავებას, ხოლო მეორე რეკომენდაცია ეხებოდა არა ენას არამედ თავად კითხვარების შინაარსს. თუმცა ამ რეკომენდაციების გაერთიანება არ იქნებოდა პრობლემა.

რაც შეეხება 5.1.1 რეკომენდაციას ის ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას და ამის შესახებ მოწვეული და აკადემიური პერსონალის ინფორმირებას. ასევე დამატებით განმარტა რომ ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ ახალი პროგრამების შემუშავების გამო დაწესებულებამ აიყვანა ახალი მოწვეული და აკადემიური პერსონალი, რათა შენარჩუნებული ყოფილიყო მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სილაბუსებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით პროგრამაში წარმომადგენელი არის საგნები „მონაცემთა მართვა და დიზაინი“ და „ხელოვნური ინტელექტი ბიზნეს ადმინისტრირებაში“, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით სილაბუსში მოცემული საკითხებით შეუძლებელია გაწერილი შედეგების მიღწევა.

ასევე მისი განმარტებით საათების განაწილებაში მოცემული იყო, რომ არის ლექცია, სემინარი, შუალედური გამოცდა და დასკვნითი გამოცდა. თუმცა სტუდენტის შესასრულებელ სამუშაოში სადაც უფრო გაშლილია ეს საათები იქ იყო მითითებული პრაქტიკული ლექცია და ჯგუფური პროექტი რომლებიც სილაბუსში არ არის სრულად წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით „მონაცემთა მართვა და დიზაინი“-ის კურსის სილაბუსის შედგენა მოხდა გრინბერგის კოროლის სახელმძღვანელოს მიხედვით, რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის კურსს დაწესებულებას აქვს კურსი „პროექტების მართვა პრაქტიკაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით- ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით“ შესაბამისად ხელოვნური ინტელექტის კურსი არის დამატებითი საგანი. ასევე, განმარტა რომ ბევრ უცხოურ დაწესებულებებში ჰქონდათ იმის პრაქტიკა რომ რაიმე კონკრეტული მიმართულებით ხელოვნური ინტელექტის კურსი ჰქონოდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:46

დასრულების დრო: 16:37

დოკუმენტაციის შესწავლის და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების შეჯერების შედეგად 1.4 კომპონენტში დაემატა ერთი რეკომენდაცია და შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან", აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ - ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აღინიშნა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის მიხედვით შემოდგომის სემესტრი სრულდება 15.02.2025 წელს, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები,

მარკეტინგი, მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (240 კრედიტიანი) აკრედიტაციის ვადაა 2024 წლის 31 დეკემბრამდე. დაწესებულების სურვილია, რომ მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ უფლება სწავლა დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტებულ რეჟიმში.

კენჭისყრა:

მომხრე-13

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ - ს შუამდგომლობა და “ბიზნესის ადმინისტრირების” (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 15 თებერვლამდე) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საზოგადოებასთან ურთიერთობა

2. საფეხური - მაგისტრატურა

3. სწავლებისენა - ქართული

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი

5. დეტალური სფეროსკოდი - 0414 - მარკეტინგი და რეკლამა

6. კრედიტი - 120 ECTS

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

კი

თვითაცილება გაანცხადა დიმიტრი ჯაფარიძემ.

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.

ექსპერტი კრისტენ აბელი (Kristel Abel) მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს. მისი განცხადებით მოცემული პროგრამა არის პრაქტიკული და ფარავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველა ასპექტს. თუმცა, მისი თქმით პროგრამას მაინც სჭირდება განვითარება თეორიული და აკადემიური კუთხით. ერთ-ერთი რჩევა რაც ექსპერტებმა მისცეს დაწესებულებას იყო ის რომ წაახალისონ და მოტივაცია მისცენ სტუდენტებს რადგან შემდეგ საფეხურზე დოქტორანტურაზე მოისურვონ მათ სწავლის

გაგრძელება. ამის მიუხედავად ამისა ექსპერტის აზრით დაწესებულება იმსახურებდა აკრედიტაციას.

ექსპერტმა ირმა ქურდაძემ დაამატა, რომ წარმოდგენილი პროგრამა იყო ორიგინალური, საინტერესო და პრაქტიკული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ჟვანია მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. ის მადლობელი იყო ექსპერტების მიერ დადებული დასკვნით და მადლობას უხდოდა მათ გაწეული სამუშაოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ყველა სასწავლო კურსი იყო 6 კრედიტიანი და მისი აზრით უკეთესი იქნებოდა, რომ კრედიტების გადანაწილება გადაიხედოს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით კრედიტების გადანაწილებაზე დაწესებულებამ ბევრი იფიქრა და გაითვალისწინეს სტუდენტთა დატვირთვა ყველა კურსზე რომ ზოგ კურსზე ბევრი თეორიული მასალა იყო და ზოგზე ბევრი პრაქტიკული შესაბამისად, ამის გათვალისწინებით გადაწყდა კურსებისთვის 6 კრედიტის მინიჭება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას თუ როგორც ხდებოდა კოლექტიური სამაგისტრო ნაშრომის შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით სამაგისტრო ნაშრომები კეთდება ინდივიდუალურად და არა ჯგუფურად, რადგან ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა სტუდენტის შეფასება. წარმომადგენლის განცხადებით 2016 წლის პროგრამაზე ჰქონდა დაწესებულებას კოლექტიური სამაგისტრო ნაშრომი, თუმცა ამ ახალ პროგრამაზე სტუდენტები დამოუკიდებლად აკეთებდნენ სამაგისტრო ნაშრომს.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებით დასკვნაში ეწერა, რომ პროგრამის მიზნები მიზნები ამჟამად მოკლებული იყო მაგისტრატურის დონის სწავლისათვის საჭირო სიღრმეს. საბჭოს თავმჯდომარეს აინტერესებდა, თუ რატომ დარჩა დასკვნის ნარატიულ ნაწილში მოცემული დასკვნა თუ ის არ იყო მნიშვნელოვანი და სერიოზული შენიშვნა.

ექსპერტმა ირინა ქურდაძემ განმარტა, რომ თავიდან დასკვნაში მითითებული იყო მოცემული საკითხი როგორც რეკომენდაცია. თუმცა, დაწესებულების მიერ თავიანთი პოზიციის წარდგენის შემდგომ ექსპერტებმა გადაწყვიტეს, რომ მოცემული რეკომენდაცია ამოეღოთ.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. კერძოდ, აინტერესებდა 2016 წლიდან იწერებოდა კოლექტიური სამაგისტრო ნაშრომი თუ არა. ბოლო ასეთი ნაშრომები წარმოდგენილია 2021 წლის თარიღითაც.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროგრამამ, როდესაც 2016 წელს მიიღო პირველი აკრედიტაცია მაშინ იწერებოდა კოლექტიური სამაგისტრო ნაშრომი, თუმცა ახალ პროგრამაზე რომელიც ახალი იყო წარდგენილი სტუდენტები დამოუკიდებლად წერდნენ ნაშრომს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:50

დასრულების დრო: 17:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

სასურველია წახალისებულ იქნას დოქტორანტურაში სწავლა: ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს სტუდენტების მომზადება და წახალისება დოქტორანტურის დონეზე სწავლის გასაგრძელებლად. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მიზნით სტუდენტებისთვის შესაძლებლობებისა და წახალისების ფორმების შექმნა დაგეხმარებათ, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს მკვლევარებისა და პედაგოგების ახალი თაობა, რაც უზრუნველყოფს დარგის გრძელვადიან ზრდასა და განვითარებას.

სასურველია გაძლიერდეს კრიტიკული ანალიზის უნარები: დაინერგოს ისეთი კურსები, რომლებიც გააუმჯობესებს სტუდენტების უნარს, შეძლონ საზოგადოებრივი პროცესების კრიტიკული ანალიზი. შემოთავაზებული კურსები მოიცავს ანთროპოლოგიას, სოციალურ ფსიქოლოგიას, კრიტიკულ აზროვნებას და პოლიტიკურ კომუნიკაციას. ამ დამატებითი კურსებით სტუდენტები დაეუფლებიან ანალიტიკურ უნარებს, რაც აუცილებელია რთული სოციალური დინამიკის გასაგებად და ნავიგაციისთვის.

ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელობა: სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ მხოლოდ დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან მოწვეული ლექტორები, ეს მოთხოვნა უზრუნველყოფს კვლევის ექსპერტიზის აუცილებელ დონეს და დაიცავს ნაშრომის კომპონენტის აკადემიურ სიმკაცრეს.

კურსის - „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“- განთავსება: სასურველია, რომ კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში დაიგეგმოს სამაგისტრო ნაშრომის დაწყების ეტაპთან უფრო ახლოს, იდეალურ შემთხვევაში, სწავლის მეორე წელიწადს. კურსის ასეთი განთავსება, სტუდენტებს მიაწვდის შესაბამის მეთოდოლოგიურ ცოდნას და უნარებს მაშინ, როდესაც ეს მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ.

კრედიტების კორექტირება: სასურველია კურსებისთვის ECTS კრედიტების განსხვავებული რაოდენობის მინიჭება მათი შინაარსისა და სირთულის მიხედვით. ზოგიერთი კურსი უფრო მეტად დატვირთულია თავისი შინაარსით, ვიდრე სხვები და ეს უნდა აისახოს კრედიტების რაოდენობაში.

მაგისტრის სემინარის დანერგვა: სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური დონის გასაძლიერებლად სასურველია შემოღებულ იქნას მაგისტრის სემინარი. ეს სემინარი უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ გარემოს სტუდენტებისთვის, რათა განავითარონ თავიანთი საკვლევი პრობლემები, თეორიული ჩარჩოები და მეთოდოლოგიები.

ზეპირი გამოცდების ჩანაწერის წარმოება: უფრო სამართლიანი საგამოცდო პროცესის უზრუნველსაყოფად, სასურველია ზეპირი გამოცდების ჩანაწერის წარმოება. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს მიუკერძოებლობას გამოცდის მკაფიო ჩანაწერის უზრუნველყოფით, რაც საშუალებას

აძლევს სტუდენტებს გაასაჩივრონ თავიანთი ქულები, საჭიროების შემთხვევაში. ზეპირი გამოცდების ჩაწერა ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას შეფასების პროცესის კეთლსინდისიერების დაცვისას.

სავალდებულო პრაქტიკული კურსი: გამოკითხვებში ხშირად გამოვლენილი პრაქტიკული უნარების განვითარების აუცილებლობის უკეთ გადასაჭრელად, სასურველია, რომ პრაქტიკული კურსი სასწავლო გეგმის სავალდებულო კომპონენტი იყოს და არა არჩევითი. ამ ცვლილების განხორციელება გულისხმობს სილაბუსის განახლებას, რათა იგი უკეთესად მოერგოს სტუდენტების საჭიროებებს და გააუმჯობესოს მათი პრაქტიკული უნარები.

სტუდენტური სერვისების გაძლიერება: სტუდენტური სერვისების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ახალი სტუდენტური კლუბების დამატება, რომლებიც შეესაბამება „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ პროგრამის სტუდენტთა პროფესიულ ინტერესებს. ამ კლუბებს შეუძლიათ უზრუნველყონ დამატებითი შესაძლებლობები პრაქტიკული გამოცდილების, ნეთვორქინგის და პროფესიული განვითარებისთვის.

აკადემიური პერსონალის ზრდა: სწავლებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად სასარგებლოა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. უფრო დიდი ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების უკეთეს მხარდაჭერას, უფრო მრავალფეროვან კურსებს და გაუმჯობესებულ საგანმანათლებლო ხარისხს.

4. მეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საზოგადოებასთან ურთიერთობა

2. საფეხური - ბაკალავრიატი

3. სწავლებისენა - ქართული

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი

5. დეტალური სფეროს კოდი - 0414 - მარკეტინგი და რეკლამა

6. კრედიტი - 120 ECTS

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ნანობაშვილმა და დიანა მჭედლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა კრისტელ აბელმა (Kristel Abel) განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ბევრი იმუშავა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, და ჩამოაყალიბეს დასკვნა, რომელშიც მოცემულია

რამდენიმე რეკომენდაცია თუმცა მისი განმარტებით რთულია შეფასდეს ისეთი პროგრამა რომელიც ისევ მუშაობის პროცესშია, რადგან მისი განმარტებით მათ არ ქონდათ მტკიცებულება, სტუდენტთა გამოკითხვა შეუძლებელი იყო, არ იცოდნენ რა გამოწვევები იყო. თუმცა ის რეკომენდაცია რაც ექსპერტებმა გასცეს კურიკულუმთან დაკავშირებით ეხებოდა უფრო კულტურულ და სოციალურ ანალიზს რათა უფრო ჩაერთოთ ისეთი კურსები პროგრამაში, რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. მისი თქმით დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, რომ უნდა გააღრმავოს სტუდენტის ცოდნა და უნარები საზოგადოების გაგების კუთხით.

ასევე ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომ დაენერგათ პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსები კურიკულუმში. ექსპერტის თქმით დაწესებულებამ მოცემული რეკომენდაციაც გაითვალისწინა, რომ შემუშავების პროცესში აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მათ რეკომენდაციებს. შესაბამისად ექსპერტის თქმით დაწესებულება იმსახურებდა აკრედიტაციის მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. მისი განმარტებით პროგრამა შემუშავებული იყო, თუმცა რადგან სრულად ახალი პროგრამა იყო დაწესებულებას კურსდამთავრებულები და სტუდენტები არ ჰყავდა, ამიტომ ვერ მოხდა მათი გამოკითხვა. თუმცა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები შეხვდნენ ექსპერტებს.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე შეეხო პირველ რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობდა პროგრამის გაფართოებას პროგრამის კულტურული და ანალიტიკური ანალიზის მიმართულებით. მისი განმარტებით რეკომენდაციაში მითითებული მსგავსი ან იგივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები წინაპირობების დაცვით შეთავაზებულია სტუდენტებისათვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული 10 თავისუფალი კრედიტის სახით. თუმცა, მისი თქმით დაწესებულება გაითვალისწინებს ექსპერტების ამ მოსაზრებას.

რაც შეეხება პროფესიული პრაქტიკის სავალდებულოდ გახდომასთან დაკავშირებით, დაწესებულება მზაობას აცხადებს, რომ მოცემულ რეკომენდაციას გაითვალისწინებს, ვინაიდან, არჩევითი სახით აღნიშნული სასწავლო კურსი არსებობს პროგრამაში, თუმცა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავად ექსპერტებიც ადასტურებდნენ, რომ ყველა კურსი მოიცავდა პრაქტიკულ კომპონენტს და უნარების სწავლის შედეგებზე გასვლის საკითხი ეჭვ ქვეშ არ იდგა. მისი თქმით პროგრამა არის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული და შესაბამისი დოზითაა წარმოდგენილი პრაქტიკული უნარების გამომუშავება სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული აქტივობების სახით. ასევე, მისი განცხადებით ცალკე სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულია პროფესიული პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში საშუალება აქვთ პრაქტიკა გაიარონ ორგანიზაციებშიც.

ანალოგიური მოსაზრება ჰქონდა წარმომადგენელს მომხმარებელთა ქცევის სავალდებულო კურსის გადატანასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა და დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მომხმარებელთა ქცევის კურსი უნდა ყოფილიყო არჩევით საგნებში ასევე ბენჩმარკინგისას არ გამოკვეთილა მისი ძირითად პროგრამაში ჩასმის აუცილებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ სტუდენტს ვერ ასწავლი მედიასთან ურთიერთობას თუ მან არ იცის რა არის ჟურნალისტიკა. შესაბამისად მისი თქმით მედიასთან ურთიერთობა გარკვეულ წილად ფარავდა ჟურნალისტიკის საფუძვლებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას მომხმარებელთა ქცევასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება კურსს „სტრატეგიულ მენეჯმენტს“ საბჭოს წევრის თქმით მითითებულია მოცემულ საგანში ორი სახის ლიტერატურა ერთი არის ქართული და მეორე არის ინგლისურად როდესაც პროგრამა არის ქართულენოვანი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მათ პროგრამაში ჩადებული აქვთ უცხო ენის კომპეტენციის იმ დონეზე მიყვანა სადაც სტუდენტს შეეძლება, რომ უცხო ენაზე აითვისოს ინფორმაცია. ხოლო, თუ სტუდენტს არ შეუძლია ინგლისურ ენაზე მასალის მიღება მათ ჩადებული აქვთ ქართულად ნათარგმნი რიდერები საწყის ეტაპზე.

რაც შეეხება "მომხმარებელთა ქცევას", წარმომადგენლის განმარტებით, მოცემული კური სავალდებულო არის მარკეტინგის სპეციალობის სტუდენტებისათვის, თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის ხელმძღვანელების მოსაზრებით საზოგადოებასთან ურთიერთობის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აღნიშნული კურსი არ არის სავალდებულო, რადგან ამ პროგრამის ფოკუსი საზოგადოებაზეა და არა ინდივიდუალურ ქცევაზე. ასევე ამ მოსაზრებას მისი თქმით ადასტურებს ამ პროგრამის სხვა საერთაშორისო პროგრამებთან შედარების ანალიზიც სადაც აღნიშნული კურსი სავალდებულოდ არ ისწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. კერძოდ, კომპიუტერული უნარების სილაბუსის შესახებ, რომელშიც იყო ლექცია გათვალისწინებული თუ რამდენად აუცილებელი იყო ლექციის ჩადება მოცემული კურსის სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მოცემული სასწავლო კურსი ხორციელდებოდა კომპიუტერულ ლაბორატორიაში შესაბამისად ლექციას არ აქვს ისეთი ხასიათი, როგორც ჩვეულებრივ აუდიტორიაში ჩვეულებრივ თეორიულ საგანს. მოცემული კურსი არის ინტერაქტიული.

შემდეგი კითხვა ეხებოდა დასკვნაში ჩადებულ რჩევას, რომელშიც იკითხება, რომ მიზანშეწონილია კურსების კრედიტ-საათების კორექტირება, მიზანშეწონილია სხვადასხვა კურსებისთვის განსხვავებული კრედიტების მინიჭება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით კურსებზე კრედიტები მინიჭებულია სტუდენტების დატვირთვის შესაბამისად. ასევე მისი განცხადებით დაწესებულებაში არის მარკეტინგისა და ჟურნალისტიკის პროგრამები, რომლებიდანაც პირდაპირ არის რაღაც სასწავლო კურსები გადმოტანილი ამიტომ კრედიტებიც ამ გამოცდილებიდან და მათი დატვირთვიდან გამომდინარე აქვს მინიჭებული პროგრამებს. ასევე მისი თქმით დაწესებულება ახორციელებს გამოკითხვას ლექტორებთან და სტუდენტებთან მათ დატვირთვასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:22

დასრულების დრო: 17:37

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე- 12

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე

მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^ბ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის გაფართოება საზოგადოებრივი და კულტურული ანალიზის მიმართულებით: დაემატოს კურსები, რომლებიც სტუდენტებს მისცემს საჭირო ცოდნასა და უნარებს იმ საზოგადოებისა და კულტურის გასაგებად და გასაანალიზებლად, რომელშიც მათ მოუწევთ მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის კურსები კარგადაა წარმოდგენილი, რეკომენდებულია ისეთი საგნების დამატება, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, სოციალური ფსიქოლოგია და სხვა. ასევე, განიხილეთ ჟურნალისტიკის შესავალი კურსის დამატება, რაც დაეხმარება სტუდენტებს გაიგონ ჟურნალისტიკის სფერო და მისი გავლენა საზოგადოებასთან ურთიერთობაზე;

რეკომენდებულია სასწავლო კურსი "მომხმარებლის ქცევა" გადაიტანოთ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ნაწილში. ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს აუცილებელი ცოდნა მომხმარებელთა დინამიკისა და ქცევის შესახებ;

რეკომენდებულია, რომ სტუდენტებმა მიიღონ პრაქტიკული, ხელშესახები გამოცდილება სწავლის პერიოდში. ამისთვის, კურსი "პროფესიული პრაქტიკა" უნდა გახდეს სავალდებულო და გადატანილ იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ნაწილში;

სწავლის შედეგების მიღწევისათვის რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლები.

რჩევები:

მიზანშეწონილია, მიზნებში შევიდეს შემდგომი სწავლისთვის მომზადება: პროგრამაში შეიტანეთ მიზანი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მომზადებას და წახალისებას გააგრძელონ სწავლა შემდგომ საფეხურზე, განსაკუთრებით მაგისტრატურის დონეზე. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან ურთიერთობის მომავალი თაობის მკვლევარებისა და პედაგოგების განვითარებას.

მიზანშეწონილია, რომ პროგრამის მიზნები გადაიხედოს და ხაზი გაესვას შეძენილი უნარების პრაქტიკულად გამოყენების მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციებსა და საზოგადოებაში ღია, პატივისცემაზე დაფუძნებული და ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებას. ეს ცვლილება ხაზს გაუსვამს პროგრამის მიზანს, დანერგოს ეთიკური კომუნიკაციის პრაქტიკა და ხელი შეუწყოს დემოკრატიულ დიალოგს საზოგადოებაში.

მიზანშეწონილია, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კურსის შემოღება, როგორც ძირითადი სავალდებულო საგანი. ეს კურსი მნიშვნელოვანია თანამედროვე PR-ის პროგრამებისთვის, რადგან სტუდენტებს აძლევს სრულ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის ინტეგრირება ეფექტური მარკეტინგული და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიებისთვის.

მიზანშეწონილია, კურსების კრედიტ-საათების კორექტირება: მიზანშეწონილია სხვადასხვა კურსისთვის განსხვავებული კრედიტ-საათების მინიჭება. უფრო ინტენსიურ კურსებს უნდა მიენიჭოს მეტი კრედიტი, ხოლო ნაკლებად მოთხოვნად კურსებს - ნაკლები. ეს მიდგომა უფრო ზუსტად ასახავს თითოეული კურსის სამუშაო დატვირთვასა და სიღრმეს.

მიზანშეწონილია, თანამშრომლობა PR ინდუსტრიის კომპანიებთან: დაამყარეთ პარტნიორული ურთიერთობები PR ინდუსტრიის კომპანიებთან, როგორცაა მარკეტინგული და სარეკლამო სააგენტოები, რათა გაამდიდროთ პროგრამა და უზრუნველყოთ სტუდენტებისთვის უკეთესი შესაძლებლობები სტაჟირებისა და პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად.

კურიკულუმის გასაუმჯობესებლად, განიხილეთ PR-ის მასტერკლასების ჩატარება სფეროს სხვადასხვა ექსპერტის მონაწილეობით. ეს კურსები სტუდენტებს მისცემს თანამედროვე ხედვებსა და პრაქტიკულ ცოდნას პირდაპირ ინდუსტრიის პროფესიონალებისგან, რაც გაამდიდრებს მათ საგანმანათლებლო გამოცდილებას და უკეთ მოამზადებს პროფესიული გამოწვევებისთვის.

5. მეხუთე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება

2. საფეხური - დოქტორანტურა

3. სწავლებისენა - ინგლისური

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

5. დეტალური სფეროსკოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

6. კრედიტი - 53

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

კი

თვითაცილება გამოაცხადეს ქეთევან ნანობაშვილმა და დიანა მჭედლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული, შეფასების პანელისთვის წარმოდგენილ ყველა დოკუმენტი და ყველანაირი საშუალება იყო შესაბამისი და ყველაფერი წარიმართა უხარვეზოდ. სტანდარტთან შეუსაბამობის არცერთი საკითხი არ წარმოჩენილა შესაბამისად პროგრამა სრულად ან ნაწილობრივ შეესაბამებოდა სტანდარტებს. მთავარი მიგნება მოიცავდა კარგი პრაქტიკის შეფასებას რაც დაკავშირებული იყო ძლიერ საერთაშორისო თანამშრომლობასთან და სტუდენტების ჩართულობასთან, რაც გულისხმობს ორმაგ ხელმძღვანელობას, როდესაც დოქტორანტს ერთი თანახელმძღვანელი ჰყავს უცხო ინსტიტუციიდან, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, რომ გამოიკვლიოს საკუთარ საკვლევი ობიექტი საერთაშორისო პერსპექტივიდან. უნივერსიტეტს აქვს განვითარებული საკუთარი საინფორმაციო სისტემა, რომელიც ასახავს ინსტიტუციის სპეციფიურ საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს პედაგოგიური

პროცესის უზარვეზოდ მიმდინარეობას. აქვს ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტებთან რაც აისახება იმ შეზღუდვით, რომ ერთ ხელმძღვანელს სამზე მეტი დოქტორანტის ხელმძღვანელობა არ შეუძლია. შესაბამისად, ინდივიდუალური ყურადღება ეთმობა თითოეულ სტუდენტს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ორი რეკომენდაცია და 12 რჩევა. რეკომენდაცია მოიცავდა პროგრამის მიზნების დაკონკრეტებას პროგრამის სტრუქტურასთან. ზოგიერთი კურსდამთავრებული გარკვეულ პროფესიულ საგნებს ეუფლება ისე, რომ ისინი არ არის შეტანილი სავალდებულო კურსებში, ასე რომ სტუდენტმა შეიძლება მიღოს კვალიფიკაცია ისე რომ შესაბამისი კომპეტენცია ვერ განივითაროს. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ღრმა ცოდნის და უნარების დაუფლებას და განვითარებას მარკეტინგის მენეჯმენტის და ფინანსების სფეროებში. რადგან კონკრეტული დისციპლინები არ არის შესული შესაბამის სავალდებულო კურსებში.

მეორე რეკომენდაცია ეხებოდა მიღების წინაპირობების დაზუსტებას. სადაც ენობრივი უნარების მოთხოვნა კონკრეტულად ინგლისურ არ მიემართებოდა და უბრალოდ მოხსენიებული იყო როგორც უცხო ენა.

ამის მიუხედავად ინსტიტუციის შეფასება იყო პოზიტიური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. რაც შეეხება რეკომენდაციებს მან ისაუბრა მეორე სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე რომლის მიხედვითაც მოთხოვნილია, რომ მიღების წინაპირობებში უნდა დაკორექტირდეს საერთაშორისო სერტიფიკატებთან დაკავშირებით ინფორმაცია. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს წინაპირობები მითითებული იყო მიღების წინაპირობებში და განისაზღვრებოდა უნივერსიტეტის დოკუმენტით ენობრივი კომპეტენციის დონე, რომელიც განსაზღვრავს, რომელ საერთაშორისო სერტიფიკატებზე რა ქულის შემთხვევაში თავისუფლდება ნებისმიერი საფეხურის სტუდენტი ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისაგან.

რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, რომლის აღწერილობით ნაწილშია მითითებული ღრმა ცოდნა და უნარები მარკეტინგის მენეჯმენტისა და ფინანსების სფეროებში, რომელიც ამ რეკომენდაციის საფუძველი გახდა, აკრედიტაციაზე წარმოდგენილ პროგრამაში არ იყო გაწერილი, ეს იყო ძველ პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა თუ, რამდენად ჰქონდათ ასახული პროგრამაში დოქტორანტურის ახალი დებულება ნაშრომის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტი შედგა, როდესაც ახალი დებულება ჯერ არ იყო ძალაში შესული, შესაბამისად მათ შეამოწმეს პროგრამა იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც აქამდე მოქმედებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება უკვე მუშაობდა იმაზე, რომ ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეყვანა პროგრამა და ამისათვის შესაბამისი ვადა ჰქონდათ მიცემული.

გოჩა თუთბერიძემ დააფიქსირა საკუთარი აზრი, რომ პროგრამა იყო კარგი და ჰყავდა საკმაოდ კვალიფიციური განმახორციელებლები.

გიორგი ლაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და აინტერესებდა თუ რას წარმოადგენდა პირველი რეკომენდაციის მიზანი.

ექსპერტის თქმით დოკუმენტები რაც წარმოდგენილი იყო, იყო არეული და ძველი წარმოების, რის შემდგომაც დაწესებულებამ განახლებული დოკუმენტები წარადგინა და ზუსტად ამ ძველ პროგრამაში ჩანდა მიზანი სხვანაირად, ამიტომ შეიტანეს დასკვნაში შესაბამისი რეკომენდაცია. თუმცა, ახალ პროგრამაში მოცემული საკითხი მოწესრიგებული იყო. შესაბამისად, მოცემული ხარვეზი იყო ტექნიკური ხარვეზი.

ქეთევან ქუთათელაძემ, საბჭოს წევრმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა კითხვით. პირველი კითხვა ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, მეშვიდე სწავლის შედეგში იკითხებოდა „თანამშრომლობს შესაბამის პირებთან“ და აინტერესებდა თუ შესაბამის პირებში ვინ იგულისხმებოდა. მისი აზრით უკეთესი იქნებოდა მოცემული დაეზუსტებინათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ შესაბამის პირებში იგულისხმებოდა დარგის სპეციალისტები და არასპეციალისტები რომლებთანაც კურსდამთავრებულებს უწევთ თანამშრომლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:17

დასრულების დრო: 18:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე- 12

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დააკონკრეტოთ პროგრამის მიზნები ისე, რომ ისინი რეალისტურად ასახავდნენ კურსის სტრუქტურას;

რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები (კონკრეტულად ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან გათავისუფლების პირობები და დაზუსტდეს აღიარებული სერთიფიკატები) და გამოქვეყნდეს ყველა საინფორმაციო პლატფორმაზე, რათა მიღების მოთხოვნები და პროცედურები იყოს სამართლიანი, გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა პოტენციური სტუდენტისთვის.

რჩევები:

სასურველია, შრომის ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი მონიტორინგის ფორმალიზება;

სასურველია, სწავლის შედეგების ფარგლებში აღწეროთ „ტიპიური კურსდამთავრებულის“ პროფილი, რათა პროგრამის სამიზნე კატეგორია უფრო კონკრეტული იყოს;

სასურველია, მუდმივი ყურადღება მიაქციოთ სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებას, რათა საგანმანათლებლო ინსტრუმენტები მოარგოთ სტუდენტების ცვალებად საჭიროებებს;

სასურველია, განიხილოთ კრედიტების „პარალელური“ განაწილება ECTS წესების სრული დაცვით (60 ECTS სემესტრში), რამაც შეიძლება გაამარტივოს სტუდენტების საერთაშორისო გაცვლითი შესაძლებლობები სადოქტორო პროგრამის ფარგლებში;

სასურველია, „დოქტორანტურის დებულების“ 7.2 მუხლი ლოგიკურად განთავსდეს იმავე პუნქტის ბოლოს;

ვინაიდან, Scopus და Web of Science მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს შორისაა, სასურველია შესწორდეს მოთხოვნები, რათა განისაზღვროს, რომ დოქტორანტის სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც გამოქვეყნდეს ისეთ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია ამ მონაცემთა ბაზებიდან ერთ-ერთში;

ქვესტანდარტ 2.4-თან დაკავშირებული რჩევის საფუძველზე, სასურველია, რომ ცვლილებები ასევე შეეხოს დისერტაციის ხელმძღვანელებს. სასურველია, სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ხელმძღვანელების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასევე დაემატოს, რომ კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში (მაგალითად ბოლო 5 წლის განმავლობაში) Scopus-ის ან Web of Science-ის ინდექსირებულ ჟურნალში გამქოვეყნებული ჰქონდეთ 1 სტატია მაინც;

სასურველია, შეიმუშაოთ CV-ის უნივერსალური შაბლონი, რათა პერსონალური ინფორმაცია უფრო გამჭვირვალე იყოს;


სასურველია, განიხილოთ პროფესიული განვითარებისთვის ყოველწლიური, წინასწარგანსაზღვრული პირადი ბიუჯეტის გამოყოფა;

სასურველია დაწესებულებამ გაააქტიუროს შემოსავლის სხვა წყაროების მოზიდვა ბიზნესიდან, სხვადასხვა ფონდებიდან და დონორებიდან გრანტების მოძიებით და სახსრების მოზიდვის სხვა მექანიზმებით;

სასურველია, განიხილოთ საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოს მხრიდან გარე შეფასება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:25 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

